

**გვირიტიშვილი გვირიტიშვილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის
თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო
გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

თამარ ალფაიძის
მოსამართლეობის კანდიდატის _____ შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	13	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	12	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	70.	100

სახელი, გვარი: **თამარ დვამრიჯვა**

თ. 

თარიღი: **29.04.2024წ.**

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თამარ ალფაიძის შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე.

საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

კანონის 34^ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩაატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, კანონის 34^ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შეფასდა - „კანონის“ 35^ე მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი გახლავთ 44 წლისა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელზე მეტია, კერძოდ:

- 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);
- 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე - მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;
- 2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;
- 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;

- 2022 წლიდან დღემდე არის შედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე -ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი/ შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია, თუმცა - სტატუსი შეჩერებულია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი“ 15 - ჯერ იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე 7 - ჯერ დაჯარიმებულია ე. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში. კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დაკისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

ასევე - „კანდიდატი“ დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებულ საქმეზე ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი.

კანდიდატმა წარმოადგინა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

- „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“;
- „სამართლისა და მორალის ევოლუცია“;
- „ჰუმანური სამართალი“;
- „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო ღონისძიებებში: „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“; The Universite Catholique de Louvain; JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი, ტრენინგი და ა.შ.

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატს, საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები/წიგნები:

- „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები“; თსუ, 2006;
- „მედია სამართალი“; 2008 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);
- „შესავალი სამართალმცოდნეობაში“; 2009;
- „სამართალმცოდნეობის შესავალი“ (მეორე გამოცემა); 2015 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);
- რეფერირებად ჟურნალში: სამართლებრივი სტატიები „სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2019წ, მე-3 ნომერი.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მიპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატის საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია შესაბამის ლინკზე <https://www.youtube.com/watch?v=tz-4i6AIuuk>. საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე, კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. გარკვეულ სამართლებრივ შეკითხვებს საერთოდ არ გასცა პასუხი კანდიდატმა. ასევე, გამოვლინდა შეცდომები გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით: სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებებთან დაკავშირებით, ასევე - ამნისტიასა და შეწყალებას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით, სეკულარიზმის პრინციპთან დაკავშირებით. ნორმატიული

აქტების იერარქიასთან დაკავშირებით, ასევე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კომპონენტებითა და დაკავშირებით, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებთან დაკავშირებით.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. იგი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, კეთილსინდისიერებით ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის (არასამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“, გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“ და დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

1. კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო დაუსაბუთებელი, რომ დაშვებული იყო შეცდომები და ხარვეზები. უმეტეს შემთხვევაში, მისი პასუხები იყო ზოგადი.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული ხარვეზების და შეცდომების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს, გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მინიმალური ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევასადა 13 ქულით .

2. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა მეტნაკლებად გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. აქვს აკადემიური საქმიანობის სფეროში მუშაობის პროფესიული გამოცდილება. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 12 ქულით.

3. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატიების შედეგად ვასკვნი, რომ ის აზრს გასაგებად გადმოსცემს, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ის გამართულად მეტყველებს, შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 20 ქულით .

4. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, არის კორექტული, პუნქტუალური, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. შესაბამისად, კანდიდატი კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით .

5. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი, მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პროფესიულ სასწავლო ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის, პროკურატურის, ადვოკატთა პროფესიული გამოცდა/ტესტირება. შესაბამისად, კანდიდატი კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.

6. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი აზორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კანდიდატი იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ალფაიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს 70 ქულას.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 13 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -12 ქულა
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი -20 ქულა
4. პროფესიული თვისებები, 15 ქულა
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა
6. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა

ქულათა ჯამი 70 ქულა

თარიღი: 29.04.2024 წ.

ხელმოწერა: თ.

